ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №28

21 ივლისი 2023 წელი

11:30 საათი

ა/წ 21 ივლისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ანა კაკაბაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ექიმი გენეტიკოსი, პედიატრი ლალი მარგველაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ახალშობილთა სკრინინგი (სამუშაო შეხვედრა).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 20 552,2 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 20 552,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 823 624,5 ათას ლარს.

ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 300,0 ათასი ლარით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 402,6 ათასი ლარით,;
- სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 131,5 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 349,6 ათასი ლარით;
- გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 800,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 100,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 200,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლაშეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 450,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 400,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 700,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 100,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 200,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 400,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 400,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 300,0 ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 450,0 ათასი ლარით;
- პროფესიული განათლებისა და 2 დასაქმებისა ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით;
- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით;
- სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 700,0 ათასი ლარით;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 1 500,0 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 500,0 ათასი ლარით;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) - 30,0 ათასი ლარით;
- ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) - 1 000,0 ათასი ლარით;
- გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 64.8 ათასი ლარით.

მცირდება:

ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) - 7,5 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 64.8 ათასი ლარით;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 150,0 ათასი ლარით;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 124,0 ათასი ლარით;

საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 30,0 ათასი ლარით.

მიმდინარე კომისის სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, დედაქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამის დაწყება ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, რომელიც აღნიშნული ოპერაციის საჭიროების მქონე ადამიანების მდგომარეობას ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად, 6000 ლარი განისაზღვრება. პროგრამის მიმდინარე ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარი იქნება. ჩვენი მიზანი უპირველეს ყოვლისა, თანამოქლაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, რაც მათი კეთილდღეობის გარანტიაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ დასვა კითხვა არსებული იმპლანტების ხარისხთან დაკავშირებით, რასაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული თანხით ბენეფიციარს შეუძლია სურვილისამებრ შეიძინოს ბაზარზე არსებული მაღალი ხარისხის იმპლანტი. ასევე საკრებულოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რა შემთხვევაში აფინანსებს აღნიშნულ ოპერაციას საყოველთაო დაზღვევა, რაზეც გელა ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში აღნიშნული ოპერაციები უფინანსდება მხოლოდ პენსიონრებს.

აქვე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ლევან აბაშიძემ იკითხა თუ როგორ ხდება აღნიშნული ოპერაციის დაფინანსება, რაზეც გელა ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ თბილისის მერიის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება ვაუჩერული სისტემით განხორციელდება. შესაბამისად, მოსარგებლეს სამედიცინო დაწესებულების შერჩევაში თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ექნება.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა თუ რა პერიოდს უნდა მოიცავდეს ბენეფიციარის თბილისში რეგისტრაცია იმისთვის რომ დაუფინანსდეს ზემო აღნიშნბული ოპერაცია, რაზეც გელა ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის წესზე მუშაობა და რა პერიოდსაც მოიცავს არსებული სხვა ჯანდაცვის პროგრამების ვადა, იგივე პერიოდზე გაიწერება ახალი პროგრამის ვადა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქ

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ტყემალაძეს, ქალაქ თბილისის მერს კახა კალაძეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც 24 საათიან რეჟიმში ჩართული იყო ამ პროგრამის დამუშავებასა და დანერგვაში.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ დადგენილების პროექტს და მიეცა დადებითი რეკომენდაცია პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

2. 21 ივლისის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში, ასევე ისაუბრეს ახალშობილთა სკრინინგის პროცესში, სიმპტომების გამოვლენამდე დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის სამომავლო ჩართულობის პერსპექტივაზე.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, კომისიის სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმარი, ექიმი გენეტიკოსი, პედიატრი ლალი მარგველაშვილი, რომელმაც ახალშობილთა მეტაბოლური და მემკვიდრული დაავადებების ადრეული გამოვლენის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, ასევე აქცენტი გააკეთა მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში, შეუქცევადი პროცესების განვითარებაზე, რაც ძირითადად ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებით და შინაგანი ორგანოების დაზიანებით ვლინდება. ლალი მარგველაშვილმა ახალშობილთა სკრინინგის გაფართოვებაზე საუბრისას, საინფორმაციო კამპანიების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.
კომისიის სხდომაზე დამსწრეებმა ახალშობილთა სკრინინგის საჭიროებაზე, სკრინინგ ტესტების უვნებლობაზე ისაუბრეს, ასევე აღნიშნეს თუ რა რისკებთან არის დაკავშირებული სკრინინგზე უარის თქმა. ახალშობილთა სკრინინგი თავის მხრივ გულისხმობს დაავადებების სიმპტომების გამოვლენამდე აღმოიფხვრას ბავშვებში განკურნებადი თანდაყოლილი დაავადებები, რაც მძიმე დაავადებების თავიდან აცილების საწინდარია.
აქვე, მ/წ 21 ივლისის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ახალშობილთა მეტაბოლური და მემკვიდრული დაავადებების სკრინინგის ჩამონათვალში ძირითადად ისეთი თანდაყოლილი დაავადებები შედის, რომელთა დროული, ჯერ კიდევ სიმპტომების გამოვლენამდე დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია თითქმის სრული გამოჯანმრთელება. ახალშობილთა სკრინინგი, მომავალში საჭირო მკურნალობის ეფექტურობის წინაპირობა და ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის საუკეთესო პრევენციაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის თქმით, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია თვითმართველობის ჩართულობა სკრინინგის პროცესში, ასვე მნიშვნელოვანია თემასთან მიმართებაში აქტიური საინფორმაციო

კამპანიების დაწყება, რათა მოსახლეობა ინფორმირებული იყოს გენეტიკური დაავადებების დროული გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ანა კაკაბაძემ იკითხა თუ ამ ეტაპისთვის რამდენია კრიტიკულად მნიშვნელოვანი დაავადება, რომლის სკრინინგი აუცილებლობას წარმოადგენს, მოწვეულმა სტუმარმა ლალი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია გაკეთდეს თორმეტი დაავადების სკრინინგი, რომელთა დროული გამოვლენა და მკურნალობა საუკეთესო პრევენციაა ახალშობილთა სიცოცხლის გადასარჩენად.

სამუშაო შეხვედრის დასასრულს კომისიის სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ უახლოეს მომავალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობის გაგრძელების, ამ თემის დეტალურად განხილვის შესახებ ისაუბრა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე